დანართი 1

დამტკიცებულია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2010 წლის " 12. 03 ''
№ 50/02-01 ბრძანებით

$ 1. გასაუბრების მიზანი

K1. გასაუბრების მიზანია თსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ექსპერტთა შერჩევა;

2. გასაუბრების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია;

$ 2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები;

$ 3. კომისიის მუშაობა

კომისიის მუშაობა მიმდინარეობს კომისიის თავმჯდომარის კომისიის წევრებისა და მდივნის შემადგენლობით;

$ 4. კანდიდატის შეფასება

კანდიდატის შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით გასაუბრების (ზეპირი ინტერვიუ) საფუძველზე. კომისია გასაუბრების გზით ადგენს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას;

$ 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

გასაუბრების შემდეგ კომისია იმსჯელებს და გამოიტანს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს კანდიდატის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებით;

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შერჩეულ ექსპერტებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

$ 6. დავების გადაწყვეტა

გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.